პროცედურა

სერტიფიკაციის სქემები.

სქემა № 1b

შეადგინა: ქ.ქუთათელაძე	**შეამოწმა: მ.ტარსაიძემ**

პროცედურა სერტიფიკაციის სქემები

შპს "ეტალონი"-ს პროდუქტის შესაბამისობის სერტიფიკაციის ორგანოში გამოიყენება შემუშავებული ორი ტიპის სერტიფიცირების სქემა.

სერტიფიკაციის სქემები შემუშავებულია:

სსტ ისო/იეკ 17065:2012/2014 - შესაბამისობის შეფასება - პროდუქტის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარების წესი;

ისო/იეკ 17067:2013/2014 - შესაბამისობის შეფასება - პროდუქტის სერტიფიცირების საფუძვლები და რეკომენდაციები პროდუქტის სერტიფიცირების სქემებისათვის. მოთხოვნების შესაბამისად.

პროდუქტის სერტიფიცირებისათვის განმცხადებელი ეცნობა და ირჩევს სერტიფიკაციის სქემას სერტიფიკაციის ორგანოში ან ვებგვერდზე **www.etalonilab.ge** და სერტიფიკაციის ორგანოში ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას.

პროდუქტის სერტიფიკაციის სქემა შეირჩევა კონკრეტული პროდუქტის წარმოების, გამოცდის, მიწოდების გამოყენების თავისებურებათა და მტკიცებათა საჭირო დონის გათვალისწინებით.

სქემა N 1b

2.1 **1b** სქემა გამოიყენება სერტიფიკატის გაცემისას წარმოებული პროდუქტის პარტიაზე და მოიცავს:

_ განმცხადებლის მიერ სერტიფიკაციის ორგანოში განაცხადის წარდგენას;

- სერტიფიკაციის ორგანოს მიერ განაცხადის განხილვას, გადაწყვეტილების მიღებას და ექსპერტის გამოყოფას.

_განმცხადებელთან ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარებაზე ხელშეკრულების გაფორმებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის(რის მიხედვითაც უნდა მოხდეს ნიმუშის გამოცდა), სერტიფიკაციის სქემის და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს;

_ შეფასების ჩატარების პროგრამის შედგენას;

_ განმცხადებელთან საწარმოში ექსპერტის მისვლას.

- სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტის მიერ საწარმოს განმცხადებელთან ერთად ნორმატული დოკუმენტის მიხედვით, განცხადებული პროდუქტის პარტიიდან იღებს გამოსაცდელ ნიმუშს რა დროსაც ხდება მთლიანი პარტიის იდენტიფიკაცია და შესაბამისი ნიმუშის აღების აქტის გაფორმება, რომელსაც ხელს აწერს სერტიფიკაციის ორგანოს ექსპერტი და განმცხადებელი, რომელიც ესწრება პროდუქტის ნიმუშის აღების პროცედურას.

_პროდუქციის ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე;

_ მიღებული შედეგების და სერტიფიცირების პროცესის შეფასების ანალიზს.

_ შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღებას; გადაწყვეტილების საფუძველზე სერტიფიკაციის ორგანოს აგრეთვე შეუძლია შეაჩეროს პროცესი და უარი თქვას სერტიფიკატის გაცემაზე.

_ შესაბამისობის სერტიფიკატის რეგისტრაციას და გაცემას;

_ პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიცირების ყველა პროცედურა ფორმდება დოკუმენტალურად.

2.2. პროდუქტის პარტიაზე შესაბამისობის სერტიფიკატი გაიცემა განმცხადებელთან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდის შედეგების საფუძველზე.

3. შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო განმცხადებელს აძლევს უფლებას გამოიყენოს სერტიფიცირებულ პროდუქციის ეტიკეტზე და თანმხლებ დოკუმენტაციაში სერტიფიკატის მოქმედების ვადის პერიოდში პროდუქციაზე გაცემული შესაბამისობნის სერტიფიკატის ნომერი, სერტიფიკაციის ორგანოს ლოგო .

3.1 სერტიფიკაციის ორგანო აკონტროლებს ლიცენზიების, სერტიფიკატებისა და შესაბამისობის ნიშნების მფლობელობას, გამოყენებასა და წარდგენას.

3.2 სარეკლამო განცხადებებში, კატალოგებში და ა.შ. ლიცენზიებზე სერტიფიკატებზე და შესაბამისობის ნიშნებზე არასწორი მითითების ან შეცდომაში შესაყვანად გამოყენების შემთხვევაში სერტიფიკაციის ორგანო მიიღებს შესაბამის ზომებს.

ისინი შეიძლება მოიცავდეს მაკორექტირებელ მოქმედებებს, სერტიფიკატის გაუქმებას, დარღვევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას და საჭიროების შემთხვევაში, სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

-მომწოდებელი იღებს ვალდებულებას არ გამოიყენოს სერტიფიკაცია ისე, რომ თავისი ქმედებებით შეცდომაში შეიყვანოს სერტიფიკაციის ორგანო და შეულახოს მას რეპუტაცია.

სერტიფიკაციის ვადის გასვლის, შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში არ გამოიყენოს სარეკლამო მიზნით სერტიფიკაციაზე მითითება და დროულად დაუბრუნოს სერტიფიკაციის დოკუმენტები.

შპს “ეტალონი”-ს
პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გამოსაყენებელი სერტიფიკაციის შემდეგი სქემა № 1 b

სქემის N	გამოცდები და შესაბა-მისობის დასაბუთე-ბის სხვა საშუალებები	წარმოების მდგომა-რეობის ანალიზი	პროდუქტის კონტროლი
1b	პარტიის გამოცდა	-	განმცხადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდა

სქემები შედგენილია: სსტ ისო/იეკ 17065:2012/2014 შესაბამისობის შეფასება-მოთხოვნები პროდუქტების,პროცესებისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ. სსტ ისო/იეკ 17067:2014/2014 - შესაბამისობის შეფასება - პროდუქტის სერტიფიცირების საფუძვლები და რეკომენდაციები პროდუქტის სერტიფიცირების სქემებისათვის.

სქემები ,რომელიც წარმოდგენია ამ პროცედურაში პროდუქციის სერტიფიცირების დროს აკრედიტაციის სფეროში გამოიყენებული შემდეგი ნორმატიული დოკუმენტაცია :

სტანდარტებები - პროდუქციის ტექნიკური პირობებზე:

გოსტ. 31654-2012 -კვერცხი ქათმის საკვები. (ტ.პ; ნ.ა;)

გოსტ. 32101-2023 -ხილისა და კენკროვნების წვენები ნატურალური(ტ.პ); გოსტ.26313-2014.(ნ.ა);

გოსტ. 657-79-ხილისა დაკენკროვნების წვენები შაქრიანი(ტ.პ); გოსტ.26313-2014.(ნ.ა);

გოსტ. 26574-2017-ფქვილი ხორბლის. (ტ.პ); გოსტ. 27688-88(ნ.ა)

გოსტ. 28188-2014-უალკოჰოლო სასმელები. (ტ.პ); გოსტ.6687.0-86(ნ.ა);

გოსტ. 23268.0-2025 - წყლები ნატურალური მინერალური ჩამოსხმული (ნ.ა)

საქართველოს მთავრობის დადგენილები:

დადგ. № 376 27.07.2015-ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

დადგ. № 58 15.01.2014- სასმელი წყლის ტექ.რეგლამენტი.

დადგ. № 719 26.12.2014-დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლის და წყაროს წყლის ტექ.რეგლამენი.

სსტ. 85-2019 წყლები ნაურალური მინერალური,საერთო ტექ.პირობა.

სანიტარული ნორმები და წესები 2.3.2 000-00 საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძ.№301/ნ 16.08.2001

სერტიფიკაციის ორგანოს ხარისხის მენეჯერი: **ქ.ქუთათელაძე**

სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი: **მ.ტარსაიძე.**